№ 46. 29 თებერვალი, პარასკევი. 1866—1880 29 თებერვალი, პარასკევი. № 46.

რედაქცია

ერევნის მოედანზე, შუამაზრის თავში მარცხნივ თ. ლორთქიფანიძის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს: | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასოებით რუსული ასოზე ნახევარი კაპ. წვრილებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ცალკე ნომრები

„დროებისა“

ისყიდება:

**თფილისში:** შავერდოვის სააგენტოში (გალავინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში) ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ხიდთან, ზუბალოვის სახლებში), აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში (ბულვარზე, მდივანის შენობაში).

**ქუთაისში** ოლანეზოვის მაღაზიაში (ხარაზოვის შენობაში).

ამას გარდა რკინის გზის ყველა სტანციებზე და ვაგონებში—კონდუქტორებთან.

## კიდევ „თფილისის მოამბეს“

თფილისი, 28 თებერვალს.

ერთმა გამოჩენილმა კაცმა სთქვა, რომ ჟურნალისტიკა მეექვსე დიდი სახელმწიფო არისო. როგორც დიდ სახელმწიფოს დიდი ძალა, და გავლენა და მნიშვნელობა აქვს ქვეყნის საქმეების გარდაწყვეტაში, იმდენივე ძალა, გავლენა და მნიშვნელობა ჟურნალისტიკასა აქვსო.

ბრძნული და ჭეშმარიტი სიტყვაა. არა თუ მთელის ქვეყნის ჟურნალისტიკას, ჟურნალ-გაზეთებს, არამედ ერთს რომელსამე გაზეთსაც კი ხშირად ისეთი გავლენა აქვს, რომ სახელმწიფო საქმეებს ხან წაღმა ატრიალებს და ხან უკუღმა; რასაც იტყვის, დაუჯერებენ; იმის სიტყვა ბეჭედია.

მაგრამ, სანამ გაზეთი ამისთანა ძალასა და გავლენას მიიღებდეს, ბევრი შრომა, ბევრი მიუდგომელი მოღვაწეობა, ბევრი გამჭრიახობა და პატიოსნური მოქმედება ეჭირება. ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ რომლისამე საგნის ასე ან ისე გარდაწყვეტაში გაზეთი არაფითარ თავის პიროვნულ ანგარიშსა და ინტერესს არ ეძიებს; რომ ის თავ-მოყვარეობით არ არის აღძრული; რომ ის ხელმძღვანელობს მხოლოთ საზოგადო ინტერესით, საერო საჭიროებით და სარგებლობით. როცა ამ გვარ პატიოსან ხასიათსა და მოუსყიდველ თვისებებს შეამჩნევენ რომელსამე გაზეთს, დარწმუნებული იყავით, რომ იმას ყველა დაუჯერებს, ყველა დაენდობა, და აქედამ არის, რომ ძალასა და გავლენას შეიძენს.

საუბედუროთ, ეს გაცვეთილი ჭეშმარიტება ავიწყდებათ ჩვენ ორ რუსულ გაზეთებს „თფილისის მოამბესა“ და „ობზორს“. და ამიტომაც არის, რომ პირველი ამათგანი დიდი ხანია „მკვდართა შორის“ ჩაირიცხა და მეორის ბატ. ნიკოლაძის გაზეთის სიტყვას სწორედ იმდენი ძალა და მნიშვნელობა აქვს საზოგადოების თვალში, რამდენიც ფინია ძაღლის დაუდგრომელ და უვნებელ ყეფასა და ქაქანს.

ერთი მითხარით, თქვენი ჭირიმე, ან რა ძალა და გავლენა უნდა ჰქონდეს იმისთანა გაზეთს, რომელიც ერთსა და იმავე საგანზე დღეს იძახის თეთრიაო და ხვალ—შავიაო, რომელსაც ერთი და იგივე პირი დღეს ცამდინ აჰყავს, აქებს, ადიდებს იმას და ხვალ კი ქვესკნელში აძვრენს, აძაგებს, სულელს, ბრიყვს, უპატიოსნოს ეძახის?

ორმოცი მაგალითი მაინც მოგვიყვანია „ობზორის“ მხრით ამ გვარის მოქმედებისა; მაგრამ ამ დღეებში ერთი ჩინებული მაგალითი კიდევ, და იმედია არა უკანასკნელად, წარმოგვიდგინა: ამას წინათ უფ. ნიკოლაძემ სწორედ მეშვიდე ცამდინ აიყვანა ერთი თავის თანამშრომელთაგანი ბატ. უთურგაური; ასეთიაო, ისეთიაო, შესანიშნავი კრიტიკოსიაო, იმისთანა ნიჭი ამ უკანასკნელ წლებში არ გამოჩენილა ჩვენშიო და სხვ. და სხვ. ბუშინ წინ კი იგივე ბატ. ნიკოლაძე ამავე თავის თანამშრომელს ბატ. უთურგაურზე ამბობს, რომ იმის პირიდამ „საბრალო სიტყვებისა და თავხედურ ლანძღვის“ მეტი არა გამოვიდა-რაო, „არ ესმოდა, რას ვთხოულობდით“ იმისაგანაო, თავის დანიშნულება რა არის არ იცისო და სხვ. და სხვ. (ნახე „ობზორის“ № 430 წინა სტატია).

რა ძალა და გავლენა უნდა ჰქონდეს იმისთანა გაზეთს, რომელიც ყველას და ყველაფერს თავის კუდაბზიკურ თავ-მოყვარეობით უყურებს და შესჩერებია; რომელიც არავის და არაფერს არ ზოგავს, ოღონდ კი თავის სულელური აზრი დაიცვას და სულელთაგან სახელი დაიმსახუროს.

ყველაზე გასაკვირველი და სასაცილო ამაში კიდევ ის არის, რომ ამისთანა გაზეთის სხვა აძლევს დარიგებას, სხვებს ასწავლის ლიტერატურულ წესებს, და ზრდილობას: ასე უნდა მოიქცეთ, ლიტერატურული პატიოსნება ამას მოითხოვსო. ნიკოლაძე, „ობზორი“ და ლიტერატურული პატიოსნება—მოდი და ნუ გაგეცინება! ერთად დასდევით ცეცხლი და წყალი... ადვილი(?) არ არის, რომ იმისთანა კარგი სიტყვა, როგორც „ლიტერატურული პატიოსნება“ ნიკოლაძის კალმის წვერიდამ გამოდიოდეს და ჭუჭყიან „ობზორის“ თაბახზე იბეჭდებოდეს!...

მამაკვდავ „თფილისის მოამბემაც“ დაიწყო ამ უკანასკნელ დროს ამ მხრით ზემოხსენებულ ნეხვის გოდორისა გაზეთის წაბაძვა. დარბაისლურად, მშვიდობიანად მოვახსენეთ ჩვენ ამას წინეთ ამ გაზეთს, რომ შეიძლება რედაქციის ერთი წევრთაგანი რომელსამე ერთს საგანზე სხვა აზრისაც იყოს, მაგრამ ჩვენს გაზეთს ეს სრულიადაც არ დაუშლის, რომ ამ საგანზე თავის სწორი და მიუდგომელი აზრი გამოთქვასო. მოვახსენეთ კიდევ, რომ მაგ ნიადაგზე რომ დავდგეთ მეთქი, შეგვეძლო გვეთქვა, რომ არც „თფილისის მოამბის“ რედაქციას უნდა ამოეღო ამ საგანზე (ე. ი. ქართულ ტრუპპისა და კომიტეტის) სიტყვა, რადგან ერთი წევრთაგანი ამ რედაქციისა ერთობ დაახლოვებულად არის გარეული ამ საქმეში მეთქი.

ეს ვთქვით. და ვერ წარმოიდგენთ როგორ იწყინა „თფ. მოამბემ“ ეს უბრალო სიტყვები. „მშიშარა მეჭორებიც“ კი დაგვიძახა, „უსუსური ჟურნალისტებიც“, „ცილის-წამებაც“

---

## ფელეტონი

### სამეცნიერო საუბარი

თავის ტვინი და ხუთი გრძნობა. — ფრენოლოგები. — ყნოსვის კუნძული ტვინში. — ბროკას აზრი. — მეხსიერების ბუდე. — ორასი აგასზაკის თავი.

—

რაც უფრო მეტათ იფინება სინათლე, იმდენათ უფრო დიდდება სიბნელის წრე, რომელიც ნათელს გარშემორტყმული აქვს.

რაც უფრო მეტსა ვტყობულობთ, იმდენი უფრო ვრწმუნდებით, რომ არაფერი ვიცით რა.

ეს ორი ჩინებული აზრი, ჩინებულის ჭკუის პატრონთაგან გამოთქმული, მოსდის კაცს თავში, როდესაც ის ბუნების სხვა-და-სხვა მოვლინებათ აკვირდებდა და ცდილობს შეიტყოს რა კავშირი არსებობს მათ შორის; ამ დროს ის ცოტაოდენს ცნობას იძენს, ითვისებს ზოგიერთს ჭეშმარიტებას, მაგრამ თან იგებს, რომ ბევრი, ძალიან ბევრი დარჩენია კიდევ შესატყობელი, რომელსაც ის ან თავის დღეში ვერ გაიგებს, ან, თუ გაიგებს, ვინ იცის, რამდენი გამოკვლევისა და დაკვირვების შემდეგ.

როდესაც კაცმა იცის, რომ დედამიწა, მთვარე და ზოგიერთი სხვა ზეციერი სხეული ქვეყნიერი მიმზიდველობის ძალით მზის გარეშემო ტრიალებენ და მისდევენ ერთხელ გაკვალულს გზას, როდესაც კაცმა იცის ესა და კიდევ ეუბნებიან, რომ ყოველი ვარსკლავი, რომელიც კი დედა-მიწიდამ მოჩანს არის მზე, იქნება ჩვენს მზეზედ უდიდესი, უფრო მეტის სინათლისა და სითბოს მომფენი, როდესაც იმას ეუბნებიან, რომ ყოველს იმ ვარსკლავთაგანს გარეშემო არტყია მრავალი სხვა ზეციერი სხეული რომელნიც იმას იმავე მიმზიდველობის ძალით გარშემო დასტრიალებენ, როგორც მაგ. დედა-მიწა მზეს დასტრიალებს, მაშინ კაცი რაც უნდა თავის-თავის მოიმედე იყოს, მაინც იგრძნობს თავის სიმცირეს, იგრძნობს, რომ რაც უნდა გამოცდილებითა და ჭკუის ძალით იყოს შეჭურვილი, მაინც ვერ შესძლებს მის მიუწდომელი სხეულების ვინაობის გაგებას.

ან ასე შორს რათ მივდივართ. ავიღოთ მაგალითად თუნდა კაცი და იმისი აგებულება. ვინ იცის რამდენი ათი და ასი წელიწადია, რაც მეცნიერთ კაცის აგებულების გაგება სურთ, ვინ იცის რამდენი მკვდარი ადამიანის სხეული გაუჭრიათ ამ აზრით და რამდენი ცოცხალი პირუტყვი, მაგრამ ჯერ იმას კი ვერ მიხვედრილან და ვერ გაუგიათ, რაც ადამიანის ცხოვრების რიგის მიმცემს ძალას შეადგენს.

ჯერ-ჯერობით ეს იციან მხოლოდ, რომ ყოველი ცხოველი ტვინითა ჰფიქრობს და ტვინითა გრძნობს; რომ ყოველივე კაცის მოქმედება, რომელსაც უწინ სულის ძალას ეძახდნენ, ტვინში ხდება: ყოველივე გრძნობიერება და მოძრაობა უტვინოთ შეუძლებელია; იციან აგრეთვე, რომ ტვინი ყოველს ცხოველს ორგვარი აქვს ტანის ანუ ხერხემლის ტვინში მხოლოდ შეხების გრძნობაა, თავის ტვინები კი გონების საბძანებელია, მასში არის დაბუდებული შეხების გრძნობების გარდა ოთხი სხვა გრძნობაც: მხედველობა, ყნოსვა, სმენა და გემოვნება.

სწავლულთაგან ცნობილია აგრეთვე, რომ გონების ძლიერება დამოკიდებულია თავის ტვინის გარეშემოს უსწორ-მასწორობაზედ: რაც უფრო ეს გარეშამო თანასწორი, გასიპულია, შიგა და შიგ ჩარღმავებული არ არის, იმდენად უფრო ნაკლებ უჭკუის ჭკუა ამ ტვინის პატრონს. იმ მეცნიერთა ტვინი კი რომ ნახოთ, რომელთაც თავიანთ სიცოცხლეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი დაარქვა ჩვენს სიტყვებს და სხვ. და სხვ. ამგვარი და თავის მშვენიერი საკადრისი სიტყვები უხვად მოგვაყარა.

ჩვენ ამ გზაზე არ გავყვებით პატივცემულ გაზეთს, რადგან ვიცით, რომ ეს გზა ნეხვის გოდრამდინ მიგვიყვანს, სადაც ასე მეგობრულად შეხვდნენ ერთმანეთს ადრე დაუძინებელნი მტერნი— „აბზორი" და თფილისის მოამბე". ჩვენ ისევ ძველს ჩვენ საბაასო საგანს დაუბრუნდებით და დამშვიდებით ვკითხავთ „თფ. მოამბეს":

თუ „დროება" თეატრალურ კომიტეტზე, იმის აზრით, ვერას დასწერს მიუდგომელად, რადგან ერთი იმის რედაქტორი თუ თანამშრომელი ამ კომიტეტის წევრაა, რატომ ამავე საბუთით არ შეგვეძლო გვეთქვა, რომ თუ ასეა, მაშ ვერც „თფ. მოამბე" დასწერს ამ საგანზე ვერაფერს მიუდგომლად, რადგან თეატრალურ კომიტეტმა ჩაბახა და დაიწუნა ხსენებულის გაზეთის ერთ თანამშრომელთაგანის კომედია, რადგან ამ კომედიის დაწუნება ავტორმა თავის პირად შეურაცყოფად მიიღო კომიტეტის მხრით და, უეჭველია აქ თავმოყვარეობა იმუშავებდა? რატომ არ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ამავე კომიტეტმა უარ-ჰყო ამავე თანამშრომელის კომედიის ფეხზე დამყენებელ რეჟისორის თავის წევრად მიღება, და შეიძლებოდა ამ გარემოებასაც გავლენა ჰქონოდა რედაქციის მიუდგომლობაზედ? რატომ არ უნდა გვეთქვა ისიც, რომ კიდევ ამავე თანამშრომელს ხსენებულ კომიტეტმა 100 მან. ჯილდოს მიცემაზედ უარი უთხრა იმ თანამშრომელს და შეიძლებოდა, რომ ამ გარემოებასაც კიდევ ჰქონოდა „თფ. მოამბის" აზრზე დი მოუდგომლობაზე გავლენა?

მგონია, ცხადია და აშკარა ლოღიკაა ყველასთვის, ვინც დაწერილის წაკითხვა იცის. ამისათვის რა ბევრი აყალ-მაყილი და გაცეცხლება იყო საჭირო? ჩვენ „უსუსური ჟურნალისტები" თუ არ გავცხარდით, როცა პირადობა დაგვწამეს, დარბაისელმა და მამაკვდავ-მოხუცებულ „თფილისის მოამბემ" რად იკადრა ასე გაჯავრება და ლანძღვა-გინება? ძველთაგან ნათქვამი სიტყვა: „შენ ჯავრობ? მაშ მტყუანი ხარ". იმაზე ხომ არ გამართლდა.

ვინც დაწერილის წაკითხვა იცის, ის, უეჭველია, ამ შენიშვნიდამ იმასაც არ გამოიყვანს, ვითომც ჩვენ თეატრალურ კომიტეტს ვესარჩლებოდეთ. იმ შეტაკების თაობაზე, რომელიც ამ დღეებში მოხდა თეატრალურ კომიტეტსა და ტრუპპას შუა, ჩვენ არ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი მხოლოდ იმიტომ, რომ იმისთანა ჟურნალისტების დასში არ ვსთვლით ჩვენს თავს, რომელნიც წამოჰკრავენ თუ არა რასმე ყურს იმ წამსვე გაზეთში ჩაჩრიან ხოლმე და მოჰყვებიან უთა-ბოლოთ ტორტლვას და ყბედობას. ჩვენი აზრი ამ საგნის შესახებ ეს იყო და ახლაც ესვეა, რომ მომეტებული „ჰაი, ჰუი!" ხარსაც გადარევს. უდროვო-დროთ ლაპარაკი და განსაკუთრებით სულელური და უსაფუძვლო ლაპარაკი საქმეს გააფუჭებს და არა არგებს...

## ახალი ამბები

წუხანდელი ქართული წარმოდგენა არაფრით არ იყო შესანიშნავი. გატ. სუნდუკიანცის ოთხ-მოქმედებიან კომედიას „ხათაბალას" თამაშობდნენ.

ამ ჩინებულ კომედიაზე რამდენჯერმე გვილაპარაკნია ჩვენს მკითხველებთან და ახლა საჭიროდ აღარ ვრაცხთ კიდევ რამე ვსთქვათ.

რაც შეეხება მოთამაშეთაგან თავის როლების შესრულებას, საერთოდ შეიძლება თქმა, რომ თითქმის ყველამ რიგიანად და წესიერად გამოგვიხატეს ის ტიპები, რომელიც ნიჭიერ სომხის დრამმატურგს ასე ხელოვნურად ჰყავს ამ პიესაში გამოყვანილი. ამ როლების შესრულების შესახებ ჩვენ გვაქვს მხოლოთ შემდეგი შენიშვნები: ვას. აბაშიძე ამ ჯეროებით ბევრად უფრო კარგათ ასრულებდა ისაიას როლს, ვინემ თავის ბენეფისში შეასრულა ესევე როლი.

მაგიერად ზაბუნიას ქალმა საზოგადოთ ამ უკანასკნელ დროს გადაჭარბება, ფარსი დაიწყო და ეს გადაჭარბება ყველაზე უფრო წუხელ შეეტყო: ერთობ მომეტებულს ჰყვირის, იგრიხება, სიტყვებს აპრტყელებს როგორღაც, თითქო ყოველი თავის სიტყვის გამოთქმით და მიხრა-მოხრით რაიოკს ეუბნებოდეს: „აბა, თქვენთვის ვიგრიხები ასეო, ტაში დამიკარითო!" ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ამისთანა ნიჭიერი მოთამაშე ამ მრუდე გზას დაადგა; სამწუხარო იქნება, თუ არ გაიგო იმან, რომ ის რომელიმე პირის ანუ პირების მოსაწონად და ტაშისათვის კი არ უნდა თამაშობდეს, არამედ მხოლოთ იმას უნდა ცდილობდეს, რომ მომქმედი პირი ნამდვილად, ცოცხლად, გადაუჭარბებელად გამოგვისახოს.

ა. მესხი კარგს იქმს, რომ „ჟონპრემიერის" (თავ-მომწონე ახალ-გაზდების) როლს არ ასრულობდეს. მართალია, ახლანდელს ტრუპპაში თითქმის არავინ არ არის ამ გვარ როლების ამსრულებლები; მართალია ისიც, რომ ა. მესხს ეს როლი მაინცა-და-მაინც არ გაუფუჭებია, მაგრამ მოთამაშის მოვალეობა ის კი არ არის, რომ არ გააფუჭოს როლი, ის არის, რომ ტიპი შექმნას, გაახორციელოს.

მშვენიერად და თითქმის უნაკლოდ თამაშობდა ა. ციციანი ზამბახოვის როლსა.

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ წუხანდელი წარმოდგენა ჩვენის ტრუპპისა უკანასკნელი წარმოდგენა არის დიდ-მარხვის მეორე კვირემდინაო.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ ტრუპპასა და თეატრალურ კომიტეტს შუა ამ დღეებში განხეთქილება ატყდა; საქმე იქამდინ მივიდა, რომ ზოგიერთები ამტკიცებენ ტრუპპა უნდა დაიშალოსო.

ვინ არის ამ განხეთქილებაში დამნაშავე და ვინ არა, ამის გამოძიებას არ შევუდგებით; ჩვენ მხოლოთ ვაცხადებთ სურვილს, და ეს სურვილი ჩვენი საზოგადოების სურვილიც არის, რომ ამ განხეთქილებას ცუდი, ჩვენის ნორჩ სცენისათვის დამღუპველი ბოლო და შედეგი არ ჰქონდეს.

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ უფ. ა. ხარაზოვისაგან აშენებულს ახალს თეატრში ამ თვის 21 ყოფილა პირველი ქართული წარმოდგენა იქაურის სამუდამო ტრუპპისა. უთამაშნიათ „მზის დაბნელება." წარმოდგენა გვარიანად წასულა. თეატრი სავსე ყოფილა მაყურებლებით და შემოსავალიც ორმოც-და-ხუთმეტ თუმნამდინ ჰქონიათ. უჩივიან მხოლოთ, რომ წარმოდგენის დროს წესიერება არ იყოვო.

* * *

ბაქოს გაზეთში იწერებიან, რომ დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკის ბრძანებით, სპარსეთიდამ უბაჟოთ შემოაქვთ პური, რომელიც ღარიბებისა და დამშეულებისათვის არის იქ ნაყიდიო.

* * *

ქარელის სტანციიდამ საჩივარს გვწერენ ერთს ვიღაც რკინის გზის მასტერზე, რომელიც ქარელსა და გორს შუა მუშების უფროსად არის დაყენებულიო. ჯამაგირს თავის დროზე არ აძლევს მუშებს და ხშირად ვისაც აძლევს, იმათაც რაღაც უბრალო მიზეზით უკლებს დღეში ხან აბაზს, ხან მეტს, ხან ნაკლებსაო. ამისთანა სიძვირეში ამ გვარის გცევისაგან ერთობ შეწუხებული არიან რკინის გზის მუშებიო და სხვ.

* * *

ჩვენ მივიღეთ ერევნიდამ შემდეგი ამბავი:

„გუშინ, 20 თებერვალს, ღამე, აქაურს ტელეგრაფის სტანციაში შე-

---

ჰკუა-გონება ძალზედ უვარჯიშებიათ და ზოგიერთი ახალი ჭეშმარიტება აღმოუჩენიათ,—გასიპული ზედაპირის მაგიერად თვალ-წინ წარმოგიდგებათ დაჩქვლეთილი ხშირ-ხშირათ ჩაღრმავებული უსწორ-მასწორო ზედაპირის მქონე ტვინი, რომელიც თითქო მეტის ფიქრისაგან პირი დასჭმუჭვნიაო.

დიდი ხანია ცდილობენ შეიტყონ, რომელს ტვინის ნაწილში რა ნიჭი სძევს. უწინ, როდესაც მეცნიერულს გამოკვლევას ჯერ ფეხი არა ჰქონდა მოჰკიდებული ცდილობდნენ კეფის ძვლების ფორმაზედ შეეტყოთ, რომელს ტვინის ნაწილში რა ნიჭიერება იყო.

ამ გვარ ცრუ-მეცნიერებს ფრენოლოგები ერქვათ. ისინი ამბობდნენ, რომ ანგარიშისთვის—ტვინის ერთი განყოფილება უნდა იყოს, სამხედრო ნიჭის—მეორე, მეხსიერებისთვის—მესამეო და სხვ.

თუმცა ამ აზრს თითქო რაღაც სინამდვილის მზგავსება აქვს, თუმცა თან-და-თან მტკიცდება, რომ ყოველს გრძნობას ტვინის საკუთარი ნაწილი აქვს თავის გამოსაჩენად, მაგრამ ფრენოლოგები ისეთის ცრუ-მეცნიერულის გზით ამტკიცებდნენ ამას, რომ სრულებით ნდობა დაეკარგათ.

ამ უკანასკნელს ათს-ოცს წელიწადში ფიზიოლოგები, ანუ კაცის ცხოვრების შემსწავლელნი სხვა გზას დაადგნენ ტვინის მუშაობის კანონების გამოსაკვლევათ. მათი იარაღი არის ცდა. ისინი ამბობენ ცოცხალს პირუტყვის რომ ესა და ეს ტვინის ნაწილი დავუშალოთ, რა შედეგი მოჰყვებაო. თუ ვინიცობაა მხედველობას მოაკლდება, მაშინ ეს გრძნობა ამ ტვინის ნაწილში ყოფილაო.

ამ გვარის ცდით გამოჩენილმა საფრანგეთის ანატომისტმა კაცის აგებულების შემსწავლელმა ბროკამ გამოშინჯა ის ნაწილი ტვინისა, რომელსაც ყნოსვის კუნჭულს ეძახიან და სადაც ცხვირის ნესტოებიდამ წასულს ნერვებს ანუ ტვინის ძაფებს მიაქვთ სხვა-და-სხვა სუნი. ეს სწავლული ამტკიცებს, რომ თვითონ ყნოსვის კუნჭული ოთხ ნაწილად განიყოფება და ყოველს ნაწილს თავისი დანიშნულება აქვსო. ერთის ამ ნაწილთაგანის დანიშნულება არის მაგალითათ, რომ გრძნობა მოძრაობათ გადააქციოს, ე. ი. თუ სუნი უსიამოვნოა, მაშინათვე ამ ნაწილიდამ წასული მოძრაობის ნერვები ეცდებიან უსიამოვნო სუნის გამომცემი საგანი თავიდამ მოიშორონ.

სამი სხვა ნაწილის მოქმედება ჯერ დარწმუნებით ცნობილი არ არის, თუმცა ბროკა კი ამბობს, ერთის დანიშნულება არის სუნი ავი კარგისაგან გაარჩიოს და მეორე გრძნობს სასიამოვნოა ეს სუნი თუ უსიამოვნოო, მაგრამ ამ გვარს მიხვედრით ლაპარაკს ჯერ კიდევ დამტკიცება ეჭირვება.

მე მხოლოთ ერთი მაგალითი მოვიყვანე იმისი, თუ როგორ შესწავლილი აქვთ და როგორ სწავლობენ კიდევ მეცნიერები ტვინის მოქმედებას, მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი მოვლენა რჩება სრულიათ აუხსნელი და როგორც ამ წერილის სათაურშივე ვსთქვი სინათლე იფინება, მაგრამ თან სიბნელის წრეცა დიდდება.

რომელი მეცნიერი და სწავლული ახსნის მეცნიერულათ მაგ. ამ განსაცვიფრალ ამბებს, რომელნიც ინგლისურს გაზეთებში არიან მოყვანილნი:

ერთი მხატვარი ეწვია თავის მეგობარს. მუაჯირზედ დგომის დროს რიღასთვისაც გადაეყურა მუაჯირს, თავმა წასძლია და ძირს ჩავარდა. წამოდგომით მაშინვე წამოსდგა და თითქო არც არაფერი ეტკინა მაგრამ ტვინი კი შეერყა. დაავიწყდა თავის მეგობრებისა და თავისი ცოლისა და ქალის

ვარდნილან ქურდები, რომლებსაც ჯერ ქუჩის კარი გაუტეხიათ, შემდეგ ოთახის კარები და შესულან, სადაც აპარატები დგას და ფულის ყუთი. ეს ყუთი დაკრული ყოფილა იატაკზედ რურსმებით, მოუგლეჯიათ და წაუღიათ თან. გვერდზედ ოთახში ერთს დექურნს სძინებია და მეორე დექურნი რაკი საქმე აღარ ყოფილა, თორმეტი საათის შემდეგ შინ წასულა.

„მეორე დექურნს კი, რომელსაც ახლო ოთახში სძინებია, ვერა შეუტყვია-რა მეორე დილამდინ.

„დილით სტანციის უფროსმა შეატყობინა ეს შემთხვევა პოლიციას, რომელმანც მაშინათვე მოახდინა თავისი განკარგულება და საქმე გადასცა უფ. გამომძიებელს.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ოზურგეთი**, 15 თებერვალს. თუმცა ისეთი ღრმა მოხუცებულები, მგონი, არსად არ მოიპოვება, როგორც ჩვენს გურიაში, მაგრამ ერთს ვერ ნახავთ, რომ წლევანდელისთანა საშინელს ზამთარს მოსწრებოდეს.

წარსულს დეკემბრის 11-ს რომ თოვლი დაიწყო, დღესაც თითქმის არ შეწყვეტილა, ხშირად წვიმა და ქარია და, თუ ცამ მოიწმინდა, ძლიერ ყინვები დგება. ზოგან თოვლი ორი არშინი სიმაღლე სძევს.

სოფლის გზები თითქმის ყველგან შეკრულია.

უანგარიშო ზარალი მოგვიტანა ამ ზამთარმა. ბევრი სახლები დაანგრია იმის სიმძიმემ; რამდენიმე კაციც მოჰკლა. საქონელი: კამბეჩი, ძროხა, ხარი, ცხენი, თხა, ცხვარი და ღორი რამდენი დაიხოცა — ამის დათვლა არ შეიძლება. ადრე ახლო-მახლო ტყეებში მიდიოდა ხალხი ტყის ნადირის დასახოცავად; მერე ყინვებმა ისე გაუჭირა ნადირს საქმე, რომ ველური ღორები და მგელები სოფელში შემოდიოდნენ და, როცა მამა-კაცები არ იყვნენ შინ, დედა-კაცები, ყმაწვილები და ძაღლები იჭერდნენ და ხოცდნენ.

გარეული ფრინველები თავისით იხოცებიან სიცივისაგან.

რადგან გურიაში ამისთანა თოვლს შეჩვეული არა ვართ, ამისათვის ზამთრისათვის ხალხი თითქმის არასოდეს არ ემზადება. საქონლისათვის ცოტაოდენი ჩალა ჰქონდათ შენახული, გამოელიათ; ახალის ყიდვა სიძვირის გამო ვერ შეიძლეს. ამისთვის ზოგიერთებმა, ვისაც ჰქონდათ, სიმინდი აჭამეს პირუტყვს და ბევრს კი შიმშილით დაეხოცათ. უბედურება ეს არის, რომ შარშან სუსტი მოსავალი იყო ჩვენკენ და ვინც პირუტყვი ოლად გამოიყვანა ამ ზამთარს, ის თვითონ რჩება მშიერი.

ამ უკანასკნელ დროს ჩვენში ვიღაც ვაჭრების კაცები დადიან სოფელ-სოფელ, კარგ ფასს აძლევენ და გლეხებში სიმინდს და ღომს ჰყიდულობენ. რა ჰქნას გაჭირებულ გლეხმა, რომ არ მიჰყიდოს? მაგრამ ჩვენი უეზდის უფროსი და განსაკუთრებით იმის თანაშემწე უფ. ა. ნ-ძე, რომელმაც ჩვენი ქვეყნის გარემოება კარგათ იცის, ურიგოს არ იქმოდნენ, განკარგულება მოახდინონ, რომ სიმინდი და ღომი ჩვენი უეზდიდამ უცხო მხრის ვაჭრებზე არ გააყიდვინონ ხალხს. თორემ შესაძლებელია, რომ ამ გაზაფხულზე ჩვენს ქვეყანაში შიმშილობა გაჩნდეს.

გ. ნიკოლაიშვილი.

## წერილი რედაქციისადმი

—

ბატონო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთში „დროებაში“ № 37 დაბეჭდილია რამდენიმე სტრიქონი ჩვენს სოფელს კასპზე — თუ რა შეწუხებულია მთლათ ლეხურის ხეობა იმ პირთაგან, რომელნიც ამილახვრიანთ დააყენეს თავის ტყის მცველებად.

მადლობა ღმერთსა, კიდევ ვისმეს მოვაგონდით და თქვენს გაზეთამდის მიახწევინა ჩვენი შეუბრალებელი გაჭირვება! იქნება რამე გვეშველოს და ამ შეჭირვებისაგან დაგვიხსნას.

წარსულის წლის სეკტენბრიდანა ვართ ჩვენ ამ მდგომარეობაში; მიზეზიც ეს იყო: გენერალნი მეჟევანია იყო ჩვენში 1874 წელს. უველამ თავისი საკუთრება აღვიარეს, როგორც ამილახვრებმა, ისე ამ ხეობის აზნაურთ, ღვდლებმა და აგრეთვე გლეხებმა.. ამილახვრებმა ნახეს, რომ ძალიან ცოტალა რჩებოდათ და წინდაუხედავათ გამოუცხადეს ყველა მასაკუთრეს დავა, სულ საამილახვრო არისო, სხვისი საკუთრება მარტო ის არისო, ვისაც ჩვენ რასაც მივცემთო, ესრე უწერიათ პროტოკოლში, რომელიც მეჟევანიის დროს შესდგაო.

ეს იმას ნიშნავს, ვითომ შემძლებელნი არიან ყველა მონაწილეებზე და დიდი დაწინაურებულნი მთავრობის წინ; ამათ ხომ ჩვენი ბრძოლა არ შეუძლიანთო, საწყალი აზნაურნი არიანო, გლეხებს ხომ ვინ ახსენებს, და ძალიან რომ შევაწუხებთ, მოგვირიგდებიან მა რას იქმონენ და ამათ წარჩინებულ მამულს ქვეშ ამოვიდებთო!

მოიწვიეს ჩლენი, რომელსაც ეს საქმე შეეხებოდა, შეგროვდნენ თითონაც, დაიწყეს ბაასი, და იმითი გათავდა, რომ ვერ მორიგდნენ, აზნაურებიც რაც მათი კუთვნილი იყო კანონიერი იმას თხოულობდნენ და ეხვეწებოდნენ მომრიგებელ ჩლენს ამათ მოგვაშორეთო, — რაკი ნება მათი არ შესრულდა გაგულისდნენ ჩვენი ბატონები, შეკრეს მტკიცე პირობა შეჰყარეს ჯარი ოთხმოცამდე დაუნიშნეს დიდი ჯამაგირები, ურიადნიკი და ორიც ატამანი, ქართველი, ოსი, ქისტი, თათარი, სომეხი, სულ მარჯვე ბიჭები ცხენოსნები.

ესენი რამდენჯერმე დაეცნენ ერისთვის გიორგი რამანის ძის დაყენებულ მეცხვარეებს თავის მამულში, სამირიანოში, წაართვეს ცხვრები, პატრონები რომ გაიქცნენ თითონ აჰრჩიეს რომელიც უნდოდათ, მეცხვარეს დანბაჩა დაჰხალეს. ამ რიცხვში ერია თ. დავით გიორგის ძის ერისთავის ცხვარიც და სხვ.

მაგრამ ეს თავადები თვითონვე დაიცვენ თავის თავს; იკითხონ დაჩაგრულ გლეხებმა და ღარიბ აზნაურებმა.

ამ ჩაფრებმა შეგვიკრეს ტყეები, ჭალები, საძოვრები, ასე გასინჯეთ, რაც უსტავნის გრამოტის ძალით გვეკუთვნის, სარი, ღობე, მარნეული — ამასაც აღარ გვაჭრევინებენ. ჭალის ხეობაში და თვითონ სოფ. ჭალას სახლებში შემოდიან თავ-მოპარსული ქისტები, თათრები და ოსები სკივრებს აღებენ, სახლს სჩხრეკამენ, ტაბიკები გექნებათ ყუთებშიაო!

სხვაგანაც აღარ გვიშვებენ. თუ სხვის ტყიდან მოგვაქვს, გვეუბნებიან: გზა ჩვენიაო, გვართმევენ, გვცემენ მათრახებითა. ნიჩაბი არ მოიპოვება ჩვენ სახლებში, იმასაც გვართმევენ ჩვენი ტყისააო.

ამ საგნებზე უეზდის უფროსის უმცროს პომოშნიკს მოვახსენეთ, ღმერთმა ადღეგრძელოს ისევ ესა გვშველის, დაგვარიგა ეგ ჩემი საქმე არ არისო, მიროვოი პოსრედნიკს მოახსენეთო; მაგრამ რა მოვახსენოთ, კარგათ ვიცნობთ იმასაც, კი არ გვიშველის ისა უფრო საქმეებს წაგვიხდენს, ერთმანეთზე არიან მიფისულები.. როდის მოვრჩებით ამ ერისთვიანთ ულელსა: ამათ მეტი როგორ მოსამართლე არავინ იშოვება? რაც დავბადებულვარ, სულ ამათ ვხედავ ნაჩალნიკად და მოსამართლეთ, ხან მამა, ხან შვილი, სიძე, ცოლის ძმა, ქვისლი, რა ვიცი ვინ მოგახსენოთ.

ამ ვაი-ვაგლახს მოჰყვა ქურდობა; მარტო სოფ. კასპში დაიკარგა თორმეტამდინ ცხენი. ღამე არ გაივლის, მარანი არ გატეხონ; ღორი, ინდოურ-ქათმები ხომ თქმა არ უნდა. ამ თვის ცხრას კასპში გატეხეს ალექსანდრე

---

სახელიც კი დაავიწყდა, მხოლოდ ზოგიერთი ასოები ახსოვდა იმათ სახელებიდან და იმათ ლუღლუღებდა.

ადვილი სათქმელია: „ტვინი შეერყა“, მაგრამ ახსნა კი ადვილია თუ არა, მაგისი რა მოგახსენოთ. მხოლოთ მიხვედრით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ტვინში უნდა იყოს იმისთანა კუნჭული, რომელშიაც მეხსიერებაა ჩაბუდებული და თუ ეს კუნჭული როგორმე დაშავდა კაცს მეხსიერებაც დაეკარგება.

ჭკუასთან ახლოა ეს ახსნა, მაგრამ ძნელი კია მასზედ დაფუძნება. აბა თუ ამ ახსნას აღარ მოვეშვით შემდეგ ამბავს როგორღა ავხსნით:

ლონდონის ლაზარეთში იყო ერთი ბელგიელი მუშა, რომელსაც ინგლისური ენა ხანში რომ შესულიყო მაშინ ესწავლა. ერთხელ თავი რაღასთვისაც მოეხვედრებინა ისეთის ძალით, რომ იმასაც „ტვინი შერყევოდა“ და ინგლისური ენა უცებ სრულებით დავიწყებოდა და ისევ თავის ბელგიურს ენაზედ დაეწყო ლაპარაკი.

აქ მეხსიერების კუნჭული აღარას გვიშველის უნდა სხვა მოვნახოთ რამე. უნდა მოვიგონოთ, რომ ბავშვობაში გამოსადეგის მეხსიერებისათვის, სხვა კუნჭულია ტვინისა და ხნიერი კაცის მეხსიერებისათვის სხვა. თუ ვინიცობაა შემდეგში ეს დამტკიცდება, მაშინ ისიც ადვილათ აიხსნება, კაცს სიყმაწვილეში შეტყობილი რამ რათ უფრო მეტათ ახსოვდება ხანში შესვლის დროს შეტყობილზედ.

* * *

ბევრი უთქვამთ, რომ ავაზაკები და ბოროტის საქმის ჩამდენი ეხლანდელი საზოგადოების წარმომადგენელათ ვერ ჩაითვლებიან, რადგან მათ ისეთი მხეცური მიდრეკილება აქვთ, რომ ზნეობით და გონებით დაბლა უნდა იდგნენ საზოგადოების სხვა წევრთა შორისო.

ბევრი უთქვამსა ესა, მაგრამ ბევრი წინაალმდეგიცა ჰყოლიათ და დღემდის არც ერთს მხარეს არა ჰქონია ისეთი მტკიცე საბუთი, რომ თავის მოპირდაპირესთვის თავის სიმართლე დაემტკიცებინა. ეხლა ხანს კი საფრანგეთის ფიზიოლოგმა პოლ ბერმა ისეთი საბუთი ჩაიგდო ხელში, რომ შეიძლება პირში ბურთი ჩასჩაროს იმათ, რომელნიც ამბობენ ავაზაკები აგებულებით სხვებისაგან არ განირჩევიანო.

საფრანგეთის ქალაქს ტულონში არის ტუსაღებისთვის გამართული ციხე. ამ ციხის ზედამხედველმა ორასი ავაზაკის თავის სარქველი მიჰყიდა ერთს ვაჭარს, რომელიც მეცნიერებისათვის საჭირო საგნებსა ვაჭრობდა. ექიმები და ისინი, ვინც ექიმათ ემზადებიან ძალიან ხშირათ ჰყიდულობენ კაცის თავის სარქველებს კაცის აგებულების შესასწავლებლათ, მაგრამ ზემოხსენებულს ვაჭარს არა ეშველა-რა, ვერ გაასაღა თავისი სარქველები. ვინც კი მოდიოდა, საყიდლათ, ყველა სწუნობდა ტულონიდამ მოტანილს სარქველებს. უველას სწორე და რიგზედ აგებული სარქველი უნდოდა და ეს სარქველები კი ზოგი შაქრის თავსა ჰგავდა, ზოგი მსხალსა, ზოგს შუბლი ჩაპტყელებული ჰქონდა, ზოგს რა ნაკლი ჰქონდა და ზოგს რა... რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა ამ სარქველების სიმახინჯეს, თუ არ ისა რომ ამ სარქველების პატრონს ავაზაკებს სხვაფრივ უნდა ჰქონოდათ ტვინიც მოწყობილი და ვინ იცის იქნება ძვლების სხვაფრივ გადაკერებამ ერთი ერთმანეთთან აღძრა კაცში ბოროტ-მოქმედების სურვილი.

შესანიშნავი ეს არის, რომ ამ სარქველებს ერთნაირი ნაკლულევანება არა აქვთ; როგორც წეღანაცა ვსთქვი, ზოგი რა გვარია და ზოგი რა გვარი.

მაგრამ უეჭველია იმათ პატრონების ბოროტ-მოქმედებაც სხვა და სხვა გვარი იქნებოდა.

მ.

ამილახვრის სახლის სარდაფი, რაც ებადა, ყოველივე გამოიტანეს, მიაკვლიეს, იპოვნეს მამასახლისმა სოფლის შემწეობით, შეუდგინეს აქტი ქურდებს რაპორტით წარუდგინეს ნიშანდობ ქურდები ნაჩალნიკს; მეორეს დღეს მამასახლისი შინ არ ყოფილიყო, ებძანებინათ სუდიებისთვის ამილახვრებს: სხვა აქტი შეადგინეთო, ის აქტი უქმიაო, ტყუილიაო, აი ესე იყო საქმეო! ამ სუდიებსაც ჰქონდათ ხელი მოწერილი წინანდელს აქტზე, მაგრამ მაინც ახალი აქტი შეადგინინეს! თუ არ დაეჯერებინათ, მაშინვე მაზრის უფროსს მისწერდნენ და იმათ თამაშას უჩვენებდნენ. ახლა ორი აქტი აქვს მაზრის უფროსს თითქმის ერთს დღეს დაწერილი! სამი სახლი საკორინთლოსა და სამთავისში გატეხეს, ძროხა, ხარი რამდენი დაიკარგა, ანგარიში არ არის.

ამ თათრების საქმე ეხლა გამომძიებელს ტერ-სტეფანოვის ხელშია.

ზეფიცებით ღმერთსა, კალია ხომ კალია იყო, მოგეხსენებათ შემუსრა ჩვენი ყოველი საცხოვრებელი, აღარა გაუშვა-რა, შიმშილით ცოლ-შვილი გვეხოცება; მაგრამ ეს ამბები უფრო ძნელს საქმესა გვმართებს. თუ საიდანმე მოვიტანეთ პური, ძვირ-ფასათ ნასყიდი, ისიც ვერ გამოგვიცხვია. აბა რა ვქნათ?

ნეტავი გზებს არ გვიკრამდნენ მაინცა; გზაზე აღარ გვატარებენ, როგორ გაბედეთ ზაალიანთ ტყის აღებაო, ჭარუმიძეების შამულში სიარულიო! ერთის სიტყვით, ცეცხლს გვიკიდებენ და ჩვენი შემხედვარე, პატრონი ჯერ არავინ მოჩანს...

ღვსურის ხეობის გლეხ-კაცი.

# განცხადებანი

—

ს ა ხ ე ლ ო ს ნ ო

## კლუბისაგან

თფილისის სახელოსნო კლუბის სტარშინები აცხადებენ, რომ ამ შაბათს, 1 მარტს კლუბში დანიშნულია საოჯახო საღამო და კვირას, 2 მარტს, მასკარადი.

სტუმრები იმ წესით იქნებიან მიღებულნი, რა წესიც ადრე იყო გამოცხადებული.

(1—1)

## პრიკაზისაგან

კავკასიის აქეთა-მხრის პრიკაზში ამა წლის 8 მარტს დანიშნულია აუქციონით გასყიდვა ოქრო-ვერცხლის ნივთებისა და ძვირ-ფას ნივთებისა, რომელნიც დაგირავებულნი არიან პრიკაზში და ვადა გასულიათ.

(3—1)

## ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მომავალი მარტისთვის 1 რიცხვიდამ დაიწყება ქუჩებში მაწანწალა მაღლების დახოცვა, რომელთაც მეტალის ანუ ტყავის საყელო არ ექნებათ. გამგეობა საჭიროდ რაცხს წინათვე აუწყოს ეს იმ მაღლის პატრონებსა, რომელთაც სურსთ რომ იმათი მაღლებია დაცული იქმნეს დახოცვისაგან.

(3—2)

**კავკაზიის აქეთა-მხრის პრიკაზში** მომავალ მარტის 14-ს გაისყიდება ერთ-ეტაჟიანი სახლი ვასილი ისაკის ძის ზიალოვისა, რომელიც იმყოფება ქ. თფილისის მეორე განყოფილების მე—11 უჩასტკაში ავჭალის ქუჩაზე, № 584, და რომელიც 1,500 მანეთად დაგირავებულია პრიკაზში 1879 წელს.

ვისაც ამ სახლის ყიდვა სურს, დაწვრილებული პირობების შეტყობა და დაფასებით სიის ნახვა შეუძლიან პრიკაზში.

(3—2)

**თფილისის გუბერნიის პრავლენიე** აცხადებს, რომ ამა 1880 წლის 10 მაისში ხსენებულ უპრავლენიეში დანიშნულია გასყიდვა გორის მოქალაქის მოსე მირიანის ძის ტერსტეფანოვის რამდენიმე სახლისა, იმ ვალში, რომელიც ამ ტერ-სტეფანოვს მმართებს ქალაქის გორისა და ხაზინისა.

(3—2)

თფილისის ოკრუჟნის სუდის მეშვეის განყოფილებაში არიან დანიშნულნი მოსასმენელად შემდეგნი საქმენი:

13 მარტსა (1880 წლისას)

1) იმ დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ, დუშეთის უეზდის, სოფლის ახატანის მამულების გაყოფის დროსა.

22 მარტსა

იმ დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ დუშეთის უეზდის სოფლის მუხრაანის მამულებინ გაყოფის დროსა.

(3—2)

გრ. ჩარკვიანის
ქართული წიგნის მაღაზიაში ისყიდება

## ქართული კალენდარი 1880

ფასი ორი შაური

გრ. ჩარკვიანის
ქართული
წიგნის მაღაზიაში ისყიდება

## ლექსნი თ.ნ.ბარათაშვილისაგან

მეორე გამოცემა თფილისი 1879 წელს
ფასი 20 კპ.

**თბილისის სათავად-აზნაურო შკოლის გამგებელი კომიტეტი** სთხოვს საზოგადოების ბატ. წევრთ ამ თებერვლის გასვლამდის შემოიტანონ წარსულის და 1880 წლების საწევრო ფული.

ამ ფულს მიიღებს საზოგადოების ხაზინადარი ვ. დ. თულაშვილი, თბილისის ოლქის სასამართლოში.

(10—10)

**სავაჭრო სახლი**

**„კნიაზ იოანე კოსტანტინიჩ ბაგრატიონ მუხრანსკი და კ-ო“**

ამით აცხადებს, რომელ შემოტანილს ფულზედ ამა რიცხვიდამ ვიდრე შეცვლამდის

**აძლევს სარგებელსა**

პირველსავე მოთხოვით—3%

ვადით

ექვსი თვით— — — —6%

ერთის წლით — — —7%

ორის წლით და მეტის —7½%

გარდა ამისა მეორე რაზრიადის საამხანაგო კვიტანციებზედ

ერთის წლით— —8% და მეტსაც.

**თბილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო შკოლის გამგებელი კომიტეტისაგან**

**საჭიროა** თექვსმეტ, ანუ ცოტა მეტ-ოთახიანი **სახლი** ეზოთი, სამზარეულოთი, მოსამსახურეების სადგომ ოთახით, სარდაფით და შეშის შესანახი სარაიით.

პატრონმა უნდა მიმართოს გენერალ ქ. ქ. ძე მამაცოვს, ანუ სათავად-აზნაურო შკოლის ინსპექტორს ნ. ლომოურს—კუკიაში, თ. თაქთაქოვის სახლი, ქურახანების ახლო (Втарая Кирпичная улица).

(10—9)

საუკუნო

## კალენდარი

(50 კპ.) **სიზმრის ახსნა** (20 კპ.) და **ასოს სამღერალი** (15 კპ.).— მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პარტიობითა და თითოობითა მელიქოვის სტამბის ფაქტორის ლუკონინისაგან.

(6—5)

**სავაჭრო სახლი**

**იაგორ კასუმოვი და კამპანია**

ჰყიდის **შეშას**, რომელიც დაწყობილია ფოთი-თფილისის რკინის გზიევაგზალზე. შეშა არის რცხილისა და წანდრის, კარგი თვისებისა და მშრალი. საჟენი ისყიდება 40 მანეთად შინ მიუტანელად.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ კასუმოვის უმთავრესს კანტორაში, ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, თუმანოვის სახლში.



ამ კვირიდამ, 27 იანვრიდამ 1880 წ.

**ბალაგანში**

ცირკის გვერდით, ბუნიბის მაედანზე საზოგადოებას აჩვენებენ

**ჯერ აქ უნახავს მოვლენას:**

**ყველაზე უდიდესი ევროპაში**

## ქალი ამალია

და მთელს ქვეყანაში ყველა კაცებზე უფრო პატარა ადამიანები

მარკიზი **გენრიხ ვოლგე**

და მარკიზა **ლუიზა**

ადგილების ფასი: 1 ადგილისა 50 კაპ., მეორესი—30 კაპ. ბავშვებისათვის ნახევარი ფასია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Февраля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.